არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირი
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"

28 თებერვალი 2022წ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება

წარმოგიდგენთ 2021 წლის მუშაობის შედეგებს:

2021 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ბიუჯეტი შეადგენდა 2 750 000 ლარს. აქედან შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა:1840605 (მილიონ რვაასორმოციათას ექვსასხუთი) ლარი, კვების პროდუქტებზე: 293400(ორასოთხმოცდაცამეტიათას ოთხასი)ლარი, ოფისის ხარჯი --340041(სამასორმოციათას ორმოცდაერთი)ლარი.

ინფრასტრუქტურის მხრივ დასრულდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი 4 საბავშვო ბაღის : ბაისუბნის, კართუბნის, თელისა და კაბლის ბაღის მშენებლობა, ასევე ცოდნისკარის და გიორგეთის საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია. აღნიშნული ბაღები აღიჭურვა რბილი და მაგარი ინვენტარით(თანხა : 180430 ლარი), გადაეცათ საბავშვი სათამაშოები(თანხა:15000 ლარი)

სოკარის რეგულაციებს რაც შეხეება, რომელიც ითვალისწინებს რომ არ შეიძლება გაზის დანადგარი იყოს საბავშვო ბაღის შენობაში, განვახორციელეთ შემდეგი ღონისძიებები: შევიძინეთ დენის ქურები 10 ცალი 4 ფლიგელიანი და 21 ცალი 6 ფლიგელიანი, სულ 31 ცალი თანხით 87 345(ოთხმოცდშვიდიათას სამასორმოცდახუთი) ლარი. მოხდა დენის სიმძლავრეების გაზრდა ყველა ბაღში და სიმძლავრის გაზრდის თანმდევი სამუშაოები, რაც გულისხმობდა გაზრდილი სიმძლავრის შეყვანას საბავშვო ბაღში და დამიწების ბლოკის მოწყობას. გარდა ამისა, ლაგოდეხის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ აშენდა საქვაბეები და მოხდა საბავშვო ბაღების შენობებიდან ცენტრალური გათბობის ქვაბების გამოტანა.

მოგეხსენებათ, რომ საბავშვო ბაღების უფროსი ასაკის ჯგუფებში, მიმდინარეობს სასკოლო მზაობის პროგრამა, რომელიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს 5-6 წლის ასაკის ბავშვების სკოლისათვის მომზადებას. იგი ხელს უწყობს აღსაზრდელის მრავალმხრივ და სრულფასოვან განვითარებას: მოტორული, სოციალური, ემოციური, მეტყველებისა და შემეცნებითი უნარები. აღნიშნული უნარები უზრუნველყოფს ბავშვის ბაღიდან სკოლაში წარმატებულ გადასვლას. გარდა არნიშნული პროგრამისა , საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის თანამშრომლობით, ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგიური მხარდაჭერის მიზნით შეიქმნა, ადრეული განათლების კურიკულუმი-თამაში. კურიკულუმის მიზნია, დაეხმაროს 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებთან მომუშავე პერსონალს, საგანმანათლებლო პროგრამის შედგენაში, განხორციელებასა და შეფასებაში. სახელმძღვანელო ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი – მეთოდური სახელმძრვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის – ადრეული განათლების მეთოდოლოგიას ეხება. მეორე ნაწილში – პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2-დან 5 წლამდე დაშერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის –

მოცემულია პრაქტიკის მაგალითები. აღნიშნული სახელმძღვანელოს პდფ ვერსია დაიბეჭდა და გადაეცა ყველა საბავშვო ბაღს.

ახალი კორონა ვირუსით (SARS -CoV- 2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელებიდან და ეპიდმდგომარეობიდან გამომდინარე, საბავშვო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განახლდა 2021 წლის 1 მარტიდან.

კოვიდ-რეგულაციების მოთხოვნების დაცვისთვის ყველა საბავშვო ბაღის უფროსმა აღმზრდელ მეთოდისტმა, მზარეულმა და მზარეულის დამხმარემ გაიარა ტრენინგი თემაზე „ ჰიგიენის სანიმუშო პრაქტიკა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, კვების ორგანიზება და Covid-19 რეგულაციები“. „ცოველური წარმოშობის სურსათის მიღება, გადამუშავება და შენახვა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში“.

ივნისის თვეში სასკოლე ასაკის 480 აღსაზრდელს გადაეცა სასკოლო საჩუქრები. (თანხა :21800 ლარი)
აგვისტოს თვეში, ახალი სასწავლო წლისთვის შევისყიდეთ საკვები პროდუქტები ტენდერის საშუალებით. შემუშავდა მენიუ კალორაჟის გათვალისწინებით.
2021 წლის 4 ოქტომბერს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი განახლდა 26 საბავშვო ბაღში, მათ შორის სოფელ თელის, ბაისუბნის, კართუბნის ახალ აშენებულ ბაღებში. 12 ოქტომბრიდან სწავლა განაახლა სოფელ კაბლის საბავშვო ბაღმაც.
ყველა საბავშვო ბაღში ჩატარდა გეგმიური საშემდოგომო ღონისძიებები.
ზამთრის არდადეგები დაიწყო 28 დეკემრიდან. არდადეგების დაწყება ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში აღინიშნა საახალწლო ღონისძიებით. ყველა აღსაზრდელს გადაეცა საახალწლო საჩუქარი, ტკბილეულის სახით, სულ 1552 ცალი. აღნიშნული ტკბილეულის შესყიდვა მოხდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 12 948 ლარი.
აღსაზრდელთა საერთო რაოდენობა 2021 წლის დეკემბრის თვის მონაცემებით შეადგენს 1552-ს.

პატივისცემით,

ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“

დირექტორი: თამარი ბაღაშვილი

ქ. ლაგოდეხი 2700, 26 მაისის ქ. №23 ტელ: 0354 22 39 70/ 599 33 43 38 lag-bagi@mail.ru lag.bagebi@gmail.com